საქართ. სოციალ. დემოკრ. მუშ. პარტია

# ტრიბუნა

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი.
1 გვ. 60,000 მან. ნონპარელი
4 „ 30,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 414 შაბათი, თებერვლის 10 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ელირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში.
ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34
ფოსტის ყუთი № 190.

## აგრარული რეფორმა

საბჭოთა ხელისუფლებამ ენერგიულად შეუდგა აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარებას. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რომელიც გამოიტანა მესამე საგანგებო სესიამ, მიწების ჩამორთმევა და მშრომელ გლეხობაზედ გადაცემა უნდა დასრულდეს მარტის 15-ამდე. ეს ძალიან მოკლე დროა და დიდი უნარისა და ენერგიის გამოჩენაა საჭირო, რომ ეს მეტად რთული საქმე მოესწროს. ყოველ შემთხვევაში მშრომელი გლეხობა თავის თვალით ხედავს დღეს, თუ ვის იცავს საბჭოთა სისტემა და ვისი მთავრობაა დღევანდელი საქართველოს მთავრობა.

უდავოა, რომ მიწა უნდა ჰქონდეს მის ბუნებრივ პატრონს, მიწის მუშა-გლეხს, რომელიც დაამუშავებს საკუთარი მარჯვენით და არ გამოიყენებს სხვის გასაყვლეფად, სხვის საექსპლოატაციოთ. ჩვენ ამას ვიცავდით მთელი წლების განმავლობაში და რევოლიუციამ ეს გამართლა. გლეხს მიეცა მარჩენალი მიწა, რომელიც დღემდის სხვის ხელში იყო და ეს სხვა გლეხს ამუშავებდა თავის მიწაზედ თავის სასარგებლოდ. მოსავლის საგრძნობი ნაწილი მიჰქონდა მემამულეს, როგორც მიწის პატრონს და გლეხის შრომით თავს ირჩენდა. ეხლა ეს მდგომარეობა ძირიანად იცვლება: მიწა ეძლევა მხოლოდ მას, ვინც თვით და არა დაქირავებული შრომით დაამუშავებს. ამ რიგად საბჭოთა ქვეყნებში მიწას ველარავინ გამოიყენებს სხვის გასაყვლეფად, სხვისი შრომის მიაკუთრების იარაღად.

მაგრამ ეს რეფორმა ვერ იქნება სრული, თუ მხედველობიდან გამოგვრჩა მდგომარეობა იმ გლეხობისა, რომელთაც არა აქვთ მიწის დასამუშავებელი იარაღი, არა ჰყავთ მუშა პირუტყვი. ასეთები კი ძალიან ბევრია. რად უნდათ მათ მიწა, როცა დასამუშავებელი საშუალება არა აქვთ? ვისაც ხარები არა ჰყავს ის ვერ დაამუშავებს 2—4 დესეტინა მიწის მარტო თოხით და იძულებული გახდება სხვისაგან იშოვოს მუშა პირუტყვი და სამაგიერო „კომპენსაცია“ გაიღოს. ეს მდგომარეობა ისევ ექსპლოატაციას გაამეფებს სოფლად და მიწა სახელად გლეხის იქნება, სახრავად კი სხვისა.

მუშურ-გლეხური სახელმწიფო ასეთ გარემოებას ვერ შეურიგდება, რა თქმა უნდა. მან უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ მშრომელი გლეხობა უზრუნველ ჰყოს სამეურნეო ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით. მართალია დღეს ჩვენი რესპუბლიკა ეკონომიურად არაა ისე ღონიერი, რომ ყველა გლეხი უზრუნველჰყოს ხარ-კამეჩებით და გუთნებით, მაგრამ მან აუცილებლად უნდა იკისროს ამ ინვენტარის **შოვნა და მიწოდება**; აგრეთვე ასეთი გზების და საშუალებათა გამონახვა, რომელიც ღატაკ გლეხს შეაძლებინებს საჭირო იარაღების შეძენას. იქნება ეს განსაკუთრებით ამ მიზნებით შექმნილი ორგანიზაციები, კოოპერატივები, ამხანაგობანი, თუ სესხი ან სხვა რამ, ყოველივე ეს მოითხოვს აუცილებლად სახელმწიფოს თაოსნობას და ნივთიერ დახმარებას. თუ ეს საქმე თავის დროზედ არ მოეწყო, ისე აგრარული რეფორმა სრული არ იქნება

## რურის ოლქის ოკუპაცია

**არც იკრძალება შეიძლება. არც დაშვება.**

**ჰანოვერი** 9 თებერ. საფრანგეთის ოფიციოზი „კომუნიკე“, ეხება საკითხს რეიხსკანცლერის მოგზაურობის შესახებ, ხაზს უსვამს, რომ ამგვარი მოგზაურობა დაუშვებელია, მაგრამ ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რათა ეს არ განმეორდეს.

**კიდევ ერთი ნოტა.**

**ჰანოვერი,** გერმანიის მთავრობამ გადასცა საფრანგეთის მთავრობას საპროტესტო ნოტა ბადენის დაკავების წინააღმდეგ. ნოტა ამტკიცებს, რომ ბადენის დაკავება არის ახალი ძალადობის აქტი, რომელიც ემყარება გერმანიის უმწეო მდგომარეობაზე.

**სადაც ფეხი შედგეს ოკუპანტებმა.**

**ჰანოვერი** 9 თებერ. ბადენში, ოფფენბურგში მდგომარეობა მწვავდება. თივის, ჩალის, საწოლების, ბინების და ავეჯის რეკვიზიციის გამო მცხოვრებლების უკმაყოფილება იზრდება. სიძვირე უზომოდ მატულობს, საოკუპაციო ჯარების ოფიცრები და ჯარის კაცები ეწევიან ლოთობას. ადგილი აქვს მუშების საყოველთაო გაფიცვას.

**შვეიცარია აღელვებულია.**

**ჰანოვერი** 9 თებერ. ბერნიდან იტყობინებიან, რომ შვეიცარიის საკავშირო საბჭოში ირჩეოდა საკითხი რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შვეიცარიის ეკონომიურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ნახშირის მიწოდების საქმეზე.

**ოკუპანტები წინ მიიწევენ.**

**ჰანოვერი** 9 თებერ. ფრანგები განაგრძობენ წინსვლას ელბერფელდისაკენ და იკავებენ გერმანიის ორ ახალ პუნქტს,

რურის ოლქში ამზადებენ ახალ-ახალ ბინებს საფრანგეთის ჯარებისათვის.

გრძელდება როგორც მოხელეების, ისე მცხოვრებლების სამსახურიდან დათხოვა და გადასახლება.

**ახალგაზრდობის დაპატიმრება.**

**ჰანოვერი.** 9 თებ. საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ ტისენის პროცესის შემდეგ გამართულ დემონსტრაციების მონაწილეებს მიუსაჯა ციხე 2 კვირიდან 4 თვემდე. დასჯილები ახალგაზრდები არიან 18 წლის ჰასაკამდე.

**„უცვლელად“.**

**ბორდო.** 9 თებ. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ მდგომარეობა რურში უცვლელია. მთელ საფრანგეთის და ბელგიის ზონაში რკინის-გზელების საერთო გაფიცვა გრძელდება. საფრანგეთში იგზავნება რამოდენიმე ვაგონი ნახშირი.

**უკელაფერი მშვიდობიანობისათვის.**

**ბორდო.** 9 თებ. „ენტრანსიჟანი“ შემდეგნაირად აშუქებს ფრანგების და ბელგიელების მიერ რურის დაკავების მიზანს. პუანკარემ, რომელსაც მხარს უჭერს საფრანგეთის პარლამენტი, გადასწყვიტა შესვლა საოკუპაციო ზონაში მხოლოდ მშვიდობიანობის მოსაპოებლად.

**საობსტრუქციო გაფიცვა.**

**რომი.** 9 თებ. ბადენის რაიონში გრძელდება გერმანიის რკინის გზელების საობსტრუქციო გაფიცვა. ნახშირით დატვირთული მატარებლები, რომლებიც მიდიოდენ იტალიაში, შეაჩერეს ოფენბურგის სადგურთან.

**მოსკოვი** 9 თებ. გერმანიის საოკუპაციო ოლქის რკინის გზელები განაგრძობენ გაფიცვას.

**ნახშირის გატანა**

**მოსკოვი** 9 თებ. ფრანგებმა საბოლოოდ აკრძალეს რურის ოლქიდან ნახშირის, კოკსის და სხვა პროდუქტების გატანა, რაც ძალიან აფერხებს გერმანიაში სალებავის დამზადების წარმოებას.

**ფრანგების რეპრესიები**

**მოსკოვი** 9 თებ. საფრანგეთის სარდლობამ აკრძალა რურის ოლქიდან გერმანიაში რკინის, ფოლადის, რკინის მადნეულების, თუჯის და სხვა ლითონების ნაწარმოების გატანა.

**ინგლისის პოზიცია**

**მოსკოვი** 9 თებ. საფრანგეთის მთავრობა შეეკითხა ინგლისის მთავრობას, თუ როგორი პოზიციას დაიჭერს ინგლისი, რომ საერთო გაფიცვამ რეინის ოლქში შეეხო ინგლისის საოკუპაციო ზონას. ინგლისის პასუხი ჯერ ხანობით გამოურკვეველია.

ბრიტანეთის კაბინეტში არის უთანხმოება გერმანიის საოკუპაციო ოლქიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციის გამო. კაბინეტის ნაწილი ბონარ ლოუს მეთაურობით, ბერლინში ინგლისის წარმომადგენლის მოხსენების ზეგავლენით, მხარს უჭერს ევაკუაციას. მეორე ნაწილი კერზონის მეთაურობით ევაკუაციის წინააღმდეგია, რათა არ გართულდეს მდგომარეობა საფრანგეთთან.

**მოსკოვი** 9 თებერვალი. დეილი-მეილის ლიუდერლოდვის კორესპონდენტი იუწყება რურის ოლქში სინოვაგის ფასის დიდი ზრდის შესახებ განსაკუთრებულ შევიწროებას განიცდიან ბავშვები რძის უქონლობის გამო. 450000 მოსახლეობისთვის ყოველდღიურათ არის მხოლოდ 20000 ლიტრა რძე.

**რური და საფრანგეთის სოციალისტები**

**მოსკოვი** 9 თებერვალი. სოციალისტების კონგრესმა ლილში მიიღო დელეგატ ორონის წინადადება, რომლის თანახმათ კონგრესმა უნდა მიმართოს მოწოდებით ერთა ლიგას და შეერთებულ შტატებსა. საფრანგეთის მთავრობის მიმართ. მოწოდებაში აღნიშნული იქნება რომ რურის ოკუპაცია საერთაშორისო სამართლის დარღვევაა და ახალი ომის საბაბია.

**ესვრიან ყველას ვინც მოუახლოვდებათ.**

**ჰანოვერი,** 9 თებერვ. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ უბრძანა თავის პატრულებს, გაფრთხილების შემდეგ ესროლონ ყველას, ვინც მიუახლოვდება რკინის გზის სახელოსნოს. ამ ბრძანების პირველი მსხვერპლი შეიქმნა მაინცის საალმშენებლო ფირმის მემანქანე, რომელიც მოკლულ იქნა საფრანგეთის ჯარის კაცების მიერ.

**საბაჟოების მთავარი ბიუროს დაკავება.**

**პარიზი,** 9 თებერვ. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ დაიკავა დიუისბურგის საბაჟოების მთავარი ბიურო. ჰომბერგში აკრძალეს ნახშირით დატვირთული გემის გაგზავნა გერმანიაში.

**პოლიციის დაპატიმრება.**

**ლონდონი,** 9 თებერვ. „დეილი მეილი“-ს სპეციალური კორესპონდენტი დიუსელდორფიდან იტყობინება, რომ გერმანიის მთავრობის ბრძანების შედეგად წინააღმდეგობის გაწევის შესახებ რეკლინკაუზენში დააპატიმრეს მთელი პოლიცია, რამაც ქალაქში უწესოება გამოიწვია. გამოცხადებულია გაფიცვა 2 საათით. ქალაქის ქუჩებში დადიან პატრულები.

## ლოზანას კონფერენცია

**რაუფ-ბეის მოხსენება ლოზანას კონფერენციის შესახებ**

**ანგორა,** 1 თებ. რაუფ-ბეი გამოვიდა მეჯლისში მოკლე მოხსენებით ლოზანას კონფერენციის შესახებ. სხვათა შორის მან სთქვა: „ინსტრუქცია, რომელიც მიეცათ ჩვენს დელეგატებს ნათელი და აშკარაა. არც მთავრობა, არც დელეგაცია არ ფიქრობენ ამ ინსტრუქციის შეცვლას. დელეგაცია ყოველივე საშუალებით იცავდა ერის პატივს და დამოუკიდებლობას. ჩვენი მტრები მიგვითითებდენ საფრთხეზე, ფიქრობდენ რა ამით ჩვენს დაშინებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი თავს დაანებებენ იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდენ უკანასკნელ დღეებში. ჩვენმა მტრებმა მიგვიწვიეს ჩვენ კონფერენციაზე და ჩვენ გვსურდა რა მშვიდობიანობა, დავთანხმდით. ჩვენ მივიღეთ მათ მიერ შედგენილი პროგრამა. თუ ჩვენი მტრები ამას ჩვენ სისუსტედ სთვლიან ისინი ძლიერ ცდებიან. ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენს სიმართლეში და გულდამშვიდებით მოველით შედეგებს. დასასრულ რაუფ-ბეიმ სთქვა: „ჩვენი ერი და არმია სრულიად დარწმუნებულია თავის ძალაში. ჩვენ მშვიდობის მოყვარენი ვართ, მაგრამ თუ ჩვენს მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებენ, ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვიხსნათ თავიდან ყოველგვარი პასუხისმგებლობა. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ თავისი დამოუკიდებლობა და ყოველთვის სადარაჯოზე ვიყოთ მის დასაცავად“. რაუფ-ბეის მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც სრულ ნდობას უცხადებს ისმეტ-ფაშას იმ სიმტკიცის გამო, რომელიც მან გამოიჩინა ერის ინტერესების დაცვაში.

**პრესის აზრი**

**ანგორა,** 1 თებ. ანგორის პრესის მოწინავე წერილები ეხება საფრანგეთის უკანასკნელ გამოსვლას, რომელმაც განაცხადა, რომ საზავო ხელშეკრულების პროექტი ულტიმატიური ხასიათის არ არის. გაზეთი „ენი-მიუნი“ ამბობს, რომ საფრანგეთი აქამდე მიყვებოდა ინგლის, ეხლა კი, როგორც სჩანს, ის ინგლისს შორდება. ჩვენთვის წარმოდგენილი პროექტი არის ინგლისელების უკანასკნელი სიტყვა. ის არ იძლევა ნიადაგს ახალ მოლაპარაკებისათვის და იმ შემთხვევაში თუ ჩვენ მას უარვყოფთ ომი აუცილებელი ხდება. მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში საფრანგეთმა გადასწყვიტა, რომ საჭიროა კიდევ დათმობა. მუდანიის უკანასკნელი ამბები ადასტურებენ ჩვენს აზრს, რომ სანამ საფრანგეთი არ იცნობს ჩვენ თვალსაზრისს საფინანსო და იურიდიულ საკითხებში, საფრანგეთ-ინგლისის უთანხმოებიდან არ უნდა მოველოდეთ მოლაპარაკების მსვლელობის შეცვლას ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთი მოკავშირეებს შორის პირველი დასდებს რა ხელშეკრულებას ანგორასთან, წავა იმავე გზით და ხელს მოაწერს საბოლოო ზავს.

**მუსტაფა ქემალი სმირნაში**

**ანგორა;** 9 თებ. მუსტაფა ქემალმა მიტინგზე სმირნაში თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: „ძველი სულთანები ატარებდენ პანისლამისტურ პოლიტიკას. ამან გამოიწვია უდიდესი უბედურება მთელი ოსმალეთისათვის და ეხლანდელი ოსმალეთის მთავრობა ერთხელ და სამუდამოდ უარყოფს ამ პოლიტიკას. შეეხო რა რეაქციის შემოტევას მუსტაფა ქემალმა სთქვა: „ისინი, ვინც მოინდომებენ ხალხის წაყვანას რეაქციისაკენ, უმოწყალოდ იქნებიან დასჯილნი. ოსმალეთის დასავლეთ სახელმწიფოების ურთიერთობის შესახებ მან აღნიშნა, რომ დასავლეთ სახელმწიფოები განაგრძობენ მკაცრ პოლიტიკას ოსმალეთის მიმართ და მანამ მჩაგვრელები სიმკაცრეს იჩენენ, ჩვენ იძულებულნი ვართ დავრჩეთ შურის მაძიებელნი. საზავო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ანტანტამ წარმოგვიდგინა ჩვენ, არ შეიძლება მიღებულ იქნეს. ჩვენ უმჯობესია დავილუპოთ სახელიანად და პატიოსნად ეხლა, ვინემ მონები ვიქნეთ ათ წლობით. რუსეთ-ანგორის ურთიერთობის შესახებ ქემალმა სთქვა: „ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან მეგობრულია და გულითადი. ის დაფუძნებულია მტკიცე პრინციპებზე და დღითი დღე მტკიცდება.

**სმირნა**

**ბორდო,** 9 თებერვ. საფრანგეთის და ინგლისის მთავრობებმა გადასწყვიტეს უარყონ ოსმალეთის მოთხოვნილება სმირნიდან უცხოელ სახელმწიფოთა გემების გაყვანის შესახებ. გემებს ნაბრძანები აქვთ ისროლონ თავდასხმის შემთხვევაში. „დეილი ტელეგრაფი“ და „დეილი ნიუზი“ მოაგონებენ, რომ ამერიკის შეთანხმება არ უკრძალავს სმირნაში უცხოეთის გემების ყოფნას.

**პარიზი,** 9 თებ. ლონდონიდან მოსულ ცნობებით სმირნაში ჩამოვიდა ბრიტანელი გენერალი, რომელმაც განუცხადა ოსმალეთის სამხედრო კომენდანტს, რომ მოკავშირეები ზავის ჩამოვდებამდე არ სცნობენ ოსმალეთის მოთხოვნილებას ოსალეთის ნავთსადგურებიდან უცხო სახელმწიფოთა გემების გაყვანის შესახებ.

**იტალიის პარლამენტში**

**რომი** 9 თებ: ვაშინგტონის ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ განხილული იყო, საფრანგეთთან სავაჭრო შეთანხმება, სავაჭრო ხელშეკრულება ჩეხო-სლოვაკიასთან, და სანტა-მარგარიტას ხელშეკრულება სამხრეთ-სლავიასთან. უკანასკნელ ხელშეკრულებას მუსსოლინიმ წინ უძღვნა შესავალი, რომელშიაც მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი მუხლები ამ ხელშეკრულებისა ორივე მხრით მიღებული იყო უმართებულოთ. მაგალითად ბელგრადში შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს მუსსოლინი პირველი დაიწყებს ჯარების ევაკუაციას.

**ლოზანაში განხეთქილების შემდეგ.**

**მოსკოვი.** 9 თებ. ოფიციალურად გამოცხადებულია კონფერენციის გადადება. მოლაპარაკების შეწყვეტამდე ორივე მხარემ დათმობამდე მივიდნენ. ოსმალეთმა მიიღო დროებითი შეთანხმება, დაუთმო ზოგიერთი პრივილეგიები უცხოელებს, უარს ამბობს გალიპოლში თავის გარნიზონის ყოლაზე სავაჭრო პრივილეგიები დათმობილი იქნება მაშინ, თუ კაპიტულიაცია გაუქმებული იქნება.

მეორეს მხრით მოკავშირეებმა დათანხმდენ იყოლიოს უცხოელი გემები ოსმალეთის ზღვაზე მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და დაისვეს ზოგი რამ საფინანსო კითხვებში.

**ისმეტ-ფაშას ანგორაში გამგზავრება.**

**მოსკოვი** 9 თებერ. 7 თებერვალს ისმეტ-ფაშა გაემგზავრა ანგორაში „წასვლისას განაცხადა, რომ მისი აზრით კონფერენცია ჯერ არ დასრულებულა, მხოლოდ დროებით გადაიდვა. მან სთქვა, რომ იგი მზათ არის დაბრუნდეს ანგორაში, თუ მოლაპარაკება განახლდება.

**ანგორა და კონფერენციის ბედი.**

**მოსკოვი** 9 თებერ. ამერიკელი კორესპონდენტები კონსტანტინეპოლიდან იუწ-

ყებიან, რომ კონფერენციის ჩაშლის შესახებ ცნობამ ოსმალურ წრეებში ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ანგორის პრესა აქვეყნებს საფრანგეთისა და ინგლისის მიმართ სამტროდ განწყობილ წერილებს. ანგორის ოფიციალური წრეები კონფერენციის ჩაშლას საფრანგეთის პოლიტიკის შედეგათ სთვლიან, ამავე დროს მიუთითებენ, რომ ფრანგების შეურიგებლობა ინგლისელთა ინტრიგების შედეგია.

**მოიკოტი.**

**მოსკოვი** 9 თებერ. დორტმუნდელი და ბოხუმელი ვაჭრები საოკუპაციო ჯარს საქონელს არ ყიდის.

**გერმანელი მუშების ფრანგი და ბელგიელი მუშებით შეცვლა.**

**მოსკოვი** 9 თებერ. ამ ჟამად 6,000 გერმანელი რკინის გზის მუშა შეცვლილია ფრანგებით და ბელგიელებით.

**ლოზანის კონფერენციის გამო.**

**მოსკოვი** 9 თებერ. ინგლისის მთავრობის წინადადების წინადადებით ფრანგ. დელეგატ ბომპარის საშვალებით მოკავშირეებმა მიმართეს ისმეტ-ფაშას წინადადებით, თუ უკანასკნელს ხელშეკრულების ხელის მოწერის განზრახვა აქვს, წარუდგინოს მოკავშირეებს წერილობით თავისი პირობები. ისმეტ-ფაშამ უპასუხა, რომ ოსმალეთის პირობები მის მიერ უკვე წარდგენილი იყო კომისიის 4 თებერვლის სხდომაზე, და ვერავითარ ახალ წინადადებას ანგორის მთავრობის უსანქციოთ და ნებადაურთველად ვერ წარადგენს.

მოაცხადოს საერთო გაფიცვა. რომლის მიზეზი სამუშაოს ხელფასის ნაკლებობაა.

**ჩეხო-სლოვაკია**

**რომი** 9 თებ. პრაგიდან იუწყებიან, რომ საშინაო საქმეთა მინისტრად დაინიშნა მარინეტი.

**დუნაიზე**

**რომი** 9 თებ. ტემპერატურის დროის შეუფერებელმა აწევამ გამოიწვია დუნაის სანაპირო ოლქებში დიდი წყალდიდობა, რომელსაც დიდი ზარალი და ადამიანის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყა.

# უცხოეთი

**ფასების ზრდა გერმანიაში.**

**მოსკოვი.** 9 თებ. ფასები გერმანიაში ომის წინა დროის ფასებს იანვარში 1.120-ჯერ აღემატებოდენ დეკემბერში მხოლოდ 585-ჯერ. სურსათის ფასმა საშვალოდ 1366-ჯერ მოიმატა.

**გაფიცვა ნიუიორკში.**

**მოსკოვი.** 9 თებ. ნიუიორკში გაიფიცა ბზა-საკერვის 30.000 მუშა. ისინი მოითხოვენ 40 საათიან 10 კვირის მუშაობას. 40.000 მუშამ, 10.000 მუშა, ბავშების ჩარიცხვით, მოაწყვეს დიდი დემონსტრაცია ნიუიორკის ქუჩაზე.

**საქონელი უცხოეთიდან.**

**მოსკოვი.** 9 თებ. უცხოეთიდან პეტროგრადში მიღებულია ელევატორის შემადგენელი ნაწილები, რომელიც შესრულებულია გერმანიის მიერ სასურსათო სახალხო კომისარიატის შეკვეთით.

**რეისი გერმანიის პორტებთან.**

**მოსკოვი.** 9 თებ. ბალტიის სახელმწიფო ხომალდები აწესებს გაზაფხულიდან გერმანიის პორტებთან საგემო რეისებს.

**რუსეთი და სომხეთის საკითხი.**

**მოსკოვი.** 9 თებ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატისაგან ამხ. ჩიჩერინის 1923 წ. 26 იანვრის წერილის თარგმანი საერთაშორისო სომხეთის ელჩის თავმჯდომარის მიმართ: „საინტერესო ბაასის დროს, რომელიც მე მქონდა თქვენთან და სომხეთის ლიგის დელეგატებთან, მე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა, რომ ლოზანის კონფერენციაზე, რუსეთი, უკრაინა და საქართველო მოკლებულნი იყვნენ სომხეთის საკითხის განხილვაში მონაწილეობის უფლებას, მიუხედავათ იმისა, რა სწორეთ ამათი მონაწილეობა ხელს შეუწყობდა ამ საკითხის კეთილათ გადაწყვეტას. მე პატივი მაქვს ეხლა გაცნობოთ, რომ რუსეთის და უკრაინის მთავრობას მზედველობაში აქვს დაასახლოს თავის ტერიტორიაზე სომხეთის ლტოლვილთა დიდი ნაწილი რომლის რიცხვი წინდაწინ იქნება განსაზღვრული დაწერილებით ეს საკითხი განხილულ უნდა იქნას ერთის მხრით სომხებისა და, მეორეს მხრით, იმ მთავრობათა წარმომადგენლების მიერ. გთხოვთ აუწყოთ ეს ცნობა დაინტერესებულ პირებს და მიიღოთ ჩემგან და სხვა. ხელმოწერილი ჩიჩერინის ასეთივე ნოტა გაეგზავნა ლოზანის კონფერენციის თავმჯდომარეს.

**ინგლისი და ავსტრია**

**ბერლინი** 9 თებერვალი ლონდონში ვენიდან ჩამოვიდა მისია, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ველიკობრიტანიასა და ავსტრიის შორის კომერციულ ხელშეკრულების გამომუშავებაში ხელშეკრულება გამომუშავებული იქნება ავსტრიისათვის ფრიად ხელსაყრელ პირობებში.

**ინგლისი და ამერიკა**

**პარიზი** 9 თებერვალი. პრეზიდენტ გარდინგმა შეიტანა კონგრესში შეთანხმება, რომელიც გამომუშავებული იყო ბრიტანეთის სახაზინო კანცლერისა და ამერიკის ვალების მომგვარებელ კომისიის მიერ, ბრიტანეთის ვალის ამერიკისადმი კონსოლიდაციის შესახებ. გარდინგმა დაახასიათა ეს შეთანხმება, როგორც პირველი ნაბიჯი ევროპის ვალების გადახდის შესამსუბუქებლად.

მან სთხოვა კონგრესს არ დააყოვნოს ამ საკითხის გადაწყვეტა.

**მოსული**

**ნაუენი** 9 თებერვალი. რამდენიმე ბრიტანელი ბატალიონი გადასხეს ბაორზე მოსულზე გამგზავრების მიზნით.

**ფრანგ მემადაროების გაფიცვა**

**ბელგრადი** 9 თებერვალი. მემადაროეთა და მელითონეთა ფრანგულ ფედერაციამ გადასწყვიტა 16 თებერვალს

# ახალი ამბები

— **ბრძოლა პროსტიტუციის წინააღმდეგ.** ამ უკანასკნელ ხანებში, ძლიერ გამრავლდა მეძავ ქალთა რიცხვი, რომელნიც ვერ პოულობენ თავშესაფარს და სხვა და სხვა სასტუმრო და საეჭვო ფირმების „ნომრებში“ ინახავენ თავს მდევნელი თვალის ფარულად. სისხლის სამართლის თანამშრომლები უკვე დახელოვნდენ ამ ადგილების აღმოჩენაში და ტფილისის სხვა და სხვა ადგილებზე სასტუმრო—„ნომრებში“ აღმოაჩინა და დაიჭირა ბევრი მეძავი ქალი. აღნიშნულ „პრიტონებს“ ჰკეტენ და მათ პატრონებს იჭერენ. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი თუ ორი თვის დატუსაღების შემდეგ, (საქმის და მიხედვით—ერთ კვირაშიდაც ქალებს ანთავისუფლებენ, ხოლო ვინაიდან ისინი კვლავ ულუკმა-პუროთ რჩებიან ქუჩებში, ისევ ეძიებენ თავის გარყვნილებას-საფერო საქმეებს. ეს ასე გაგრძელდება დაუსრულებლივ, თუ სულ სხვა წესით არ გაუკეთდა იზოლიაცია ამ ელემენტებს. ან რაიმე სამსახურის მინიჭებით ან განსაკუთრებული თავშესაფარის უზრუნველყოფით.

— **ცეკავშირი.** საქართველოს კოოპერატივთა ცენტ. კავშირის დელეგაცია ამხ. წივწივაძის და ერისთავის, შემადგენლობით უკვე გაემგზავრა ქ. მოსკოვში სრ. რუსეთის მომხმარებელ საზოგადოებათა ცენტრალური კავშირის ყრილობაზე. თანახმად ცეკავშირის რწმუნებულთა მესამე კრების გადაწყვეტილებისა, გამგზავრების მიზანია, შეიყვანოს თავისი წარმომადგენლები წევრებათ ცენტრალურ კავშირში და ამით მჭიდრო კავშირი გააბას რუსეთის და საქართველოს კოოპერაციის ცენტრთა შორის. ამ დღეებში დელეგაციას უკანვე მოელიან.

— **რესპუბლიკის აგარაკები.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ჩვენებით სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ცნობილია რესპუბლიკაში მყოფი ის აგარაკები, რომელთაც აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ასეთი აგარაკები არის საქართველოში: ბორჯომში წყალტუბოში, ახტალა, აბასთუმანში (სამთო კლიმატიური სადგური) წალვერში, ცემში, ბაკურიანში, პატარა ცემში, სურამთოვო, ბეხმარო, ციხის ჯვარი—მანგლისში და ბათუმის ზღვასთან მდებარე აგარაკები. ამას გარდა სახალხო კომისართა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: აგარაკების სამმართველოს და მის განყოფილებების გამგებად დაინიშნონ შემდეგი პირები: ჯან მრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო აგარაკების სამმართველოს რწმუნებულად დაინიშნოს ამხ. ფრანგულიანცი. სამეურნეო მრეწველობის განყოფილების გამგეთ ამხ. ალექსი კამარაული, სამკურნალო-სანიტარულ განყოფილების გამგეთ ექიმი ზანდუკელი და აღმშენებლობითი-ტეხნიკურ განყოფილების გამგეთ ინჟინერი ბუზიოლლი.

— **ტფილისის ბირჟაზე.** 8 თებერვალს, ქაღალდის ლირა (თათ.) 520,000.

| | |
|---|---|
| სტერლინგი— — | —3,750,000. |
| დოლლარი — — | — 855,000. |
| რუსული თუმნიანი — | —4,900,000. |
| საბჭოს ნიშნები — | — 1,7 პრ. |

თავისუფალი ბირჟის კურსი:

| | |
|---|---|
| ოქროს თუმნიმნი — | —4,950,000. |
| გირვანქა სტერლინგი | —3,300,000 |
| დოლლარი — | —870—880,000 |
| თათრული ლირა | —520—525,000 |

— **დოხტაქარი ჰიათურაში.** ჰიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება „ჩემოს“ საბჭომ თავის საავადმყოფოს მთავარ დოსტაქრათ ქ. ჰიათურაში მიიწვია ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკის ასისტენტი ექიმი სერგო რომანის ძე ხუნდაძე.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა გასაყიდათ ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის თერაპიულ კლინიკის ასისტენტების ექიმების შ. მიქელაძის და ნ. მახვილაძის „კლინიკური ანალიზები“ პროფ. ალ. ალადაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით. წიგნი სუფთად და კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, შეიცავს 132 გვ. და ღირს 15 შაური ოქროთი.

— **გამასწორებელ სახლების გაფართოება.** ვინაიდგან ტფ. გამასწორებელ საავადმყოფოები მუდამ სავსეა ავადმყოფებით,—განზრახულია გაფართოვდეს საავადმყოფო, მისი საწოლების გადიდებით 170-დან—200-მდე, ხოლო ექიმების რიცხვი-კი 4-დან—6-მდე, დანარჩენი პერსონალის მომატებით საჭიროების და მიხედვით.

— **ხმოლხკის მოზიარე ერისთავი.** თებერვლის 3-ს, სისხლის სამართლის თანამშრომელთა მიერ დაკავებული და წარმოდგენილი იქნა რესპუბლიკის უმაღლესს [illegible] ერისთავი, რომელიც [illegible] გამოდა [illegible].

— **ყალბი ფირმის ვაჭარი.** ამავე თებერვლის 3-ს სისხლის სამართლის თანამშრომელთა მიერ სასტუმრო „ევროპა“-ში დაკავებული იქნა ვინმე მ-ქე მიხაილოვი, რომელიც აღმოჩნდა „ვპო“—№ ზავოლჟიის დივიზიის სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების გამგე ქ. ხარკოვში—გვარათ როგაჩევი. აღნიშნული პირი ადგენდა თურმე ყალბ დეპეშებს—ვითომდა არსებულ საკუთარ მანუფაქტურულ ვაგონზე სად. ევლახში და ამრიგად ბევრ ადგილობრივ ვაჭრებს სტყუებდა ფულებს—ბეთ. სწარმოებს კვლევა-ძიება.

# პროვინციის ცხოვრება

— **აჭარის მონაწილეობა ლიონის ხ. ვაჭრო იარმუკაზე.** ა. ა. ს. ს. რ. არსებულ ეკონომიური საბჭოს დადგენილებით აჭარის მონაწილეობა ლიონის სავაჭრო იარმუკაში ცნობილ იქმნა მიუცილებელ საჭიროებად. წინადადება მიეცა სამეურნეო და სახელმწიფო დაწესებულებათ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს და კომუნალურ მეურნეობას მიაწოდონ სავაჭრო ბიუროს ყოველივე საქონელი, რომელიც კი მოიპოვება აჭარაში და რომელთა გაგზავნა მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ლიონის იარმუკაზე.

— **ფაქტიური რევიზია.** 1922 წლის განმავლობაში მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილია მათ მიერ სხვა და სხვა დაწესებულებებში ფაქტიური რევიზია 60-ჯერ; კომისარიატების და ქვე-განყოფილების სრული შემოწმებით, სალაროებში თანხების გამოანგარიშებით, საანგარიშო წიგნებთან შეთანხმებით, საქმის წარმოების დეტალურად გაცნობით რევიზორების მიერ აღნიშნულია დეფექტები და მათ მიერ მიცემულია შესაფერი დარიგებანი ზემოაღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად. ბოროტ-მოქმედების ჩამდენი პასუხისგებაშია მიცემული.

— **თამბაქოს გაგზავნა მოსკოვში.** კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ მიიღო მოსკოვიდან ცნობა, რომლის მიხედვით, დიდი მოწონება ჰქონებია ჩვენს თამბაქოს მოსკოვის ბაზარზე ამის გამო მოსკოვიდან დმკვეთილია თუთუნის დიდი პარტია. ამ დღეებში კომუნალური მეურნეობის განყოფილება გაგზავნის მოსკოვში „სოლო“ და „სილვა“-ს თუთუნის ხარისხს, რომლებიც თავისი ღირსებით არ ჩამორჩებიან მოსკოვის თუთუნს.

# ქართველი უდინების გადმოსახლება საქართველოში

გასული 1922 წლის უკანასკნელ თვეებში ადერბეიჯანიდან გადმოსახლდა ჩვენი მონათესავე პატარა ერის ნაშთი, ეგრედ წოდებული ქართველი უდინები. გადმოსახლებულთა რიცხვი 160 კომლს უდრის, საცხოვრებლად მათ საბჭოთა მთავრობამ მიუჩინა საუკეთესო ნოყიერი მიწა თელავის მაზრაში, ყვარელის რაიონში მდინარე ალაზნის პირზე. ზომით 800 დესიატინაზე.

ეს გადმოსახლება იმდენად ღირსშესანიშნავია და მას ისეთი ისტორია აქვს, რომ არ შეიძლება მასზე არ მივაქციოთ ქართველი საზოგადოების და კერძოდ კი მშრომელი ხალხის ყურადღება, ამას გარდა საჭიროა ქართველმა ხალხმა იცოდეს, თუ ვინ არიან უდინები, რა ნათესაური კავშირი აქვთ მათ ჩვენთან და რატომ ილტვოდენ ისინი ჩვენკენ.

უდინების ისტორია ჯერ კიდევ სავსებით არ არის შესწავლილი, მხოლოდ ცნობილია, რომ ეს ხალხი უძველესი ტომისა არის და მას დიდი წარსული აქვს. პირველად მის შესახებ ჩვენ ვგებულობთ ისეთი ძველი ისტორიკოსებიდან, როგორიც არიან პლუტარხი, სტრაბონი და სხვა. ახალ მკვლევართა შორის უდინების შესახებ ნაწერები აქვთ საზღვარ-გარეთელ მწერლებს შიფნერს, უსლარს და აკადემიკოსს მარს.

საქართველოში ამ საკითხის შესახებ ნაწერები აქვთ ქართველ ისტორიკოსებს: ჯანაშვილსა და მაქრაძეს. ეს ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ებლანდელი ადერბეიჯანის ფარგლებში, ნუხის მაზრაში, ოდესღაც იყო მთელი სამეფო ეგრედ წოდებული უდისტანი ანუ უდია. ამ სამეფოს სატახტო ქალაქი იყო მერიდე ებლანდელი ყაბაბი.

ქართველი ხალხი ამ სახელმწიფოს ძველ ერთიან ეძახოდა. ეს სამეფო მუდამ მეგობრობაში და ძმურ განწყობილებაში ყოფილა საქართველოსთან ენა„უდებს თავის საკუთარი აქვთ, რომელსაც ქართულ ენასთან ნათესაობა ეტყობა. უდისტანი ძველად ბუფერი ყოფილა საქართველოსა და სამუსლიმანო ქვეყნებს შორის და საქართველოზე წამოსული მტრის რისხვა პირველ ყოვლისა უდინებს ხვდებოდა. სამაგიეროდ უდინისტანი ყოველთვის საქართველოს მფარველობის ქვეშ იყო. საქართველოს აყვავების და სიძლიერის ხანა. იყო იმავე დროს უდისტანის აყვავების ხანა. მე-13 საუკუნიდან დაწყებული, როდესაც იწყება საქართველოს დაქუცმაცება და დაუძლურება, იწყება უდისტანის დაუძლურებაც და განადგურება. ძველი ფანატიკური მუსულმანობა, რომელთა შუა მოუხდა ცხოვრება უდინებს, მუდამ სდევნიდენ ამ პატარა ხალხს. ისინი მუდამ ცდილობდნენ გაენადგურებიათ უდინები, რისი მიზნით ძალით ალებინებდნენ მათ ისლამის სარწმუნოებას და აქუცმაცებდენ მათ სპარსეთში და ბაქოს მაზრაში გადასახლებით. სასტიკი და შეუბრალებელი განადგურება უდისტანისა მოხდა ცნობილი ნადირ-ხანის საქართველოზე შემოსევის დროს. ამ დროს თითქმის მთელი უდისტანი იქნა გამუსულმანებული და დაფანტული, მხოლოდ შვიდმა პატრიარქალურმა დიდმა ოჯახმა შესძლო გაეწია სასტიკი წინააღმდეგობა მოძალადეებისათვის. მათ არ იწამეს ისლამი, გაიხიზნენ მიუვალ მთებში და იქიდან, მოკლებული ყოველივე ელემენტარულ საჭირო საგნებს, მშიერმწყურვალნი ებრძოდენ მტერს.

ბოლოს ნადირხანი დარწმუნდა ამ ერთი მუჭა ხალხის ურყევ ნებისყოფაში და ნება დართო მათ ჩამოსულიყვნენ ბარში, შეენარჩუნებიათ თავისი ენა და სარწმუნოება და ეცხოვრათ მშვიდობიანათ, რის მაგივრადაც მათ უნდა ეხადნათ ხარკი ეგრეთ წოდებული „დინ იფამი“ რაც ნიშნავს ხარკს სარწმუნოებისათვის და თავისუფლებისათვის. ეს შვიდი კომლი, საუკუნოების განმავლობაში გაიზარდა რამდენიმე ასეულ მოსახლეთ, მაგრამ ვერც შემდეგ ნახეს უდინებმა სიმშვიდე და ბედნიერება. მტრები იმოვნიდნენ თუ არა დროს, შეესეოდენ ხოლმე და ანადგურებდნენ მათ. ასეთი ცხოვრების შედეგი ის იყო, რომ 1914 წელში, დიდი ომის დასაწყისის წინ უდინების რაოდენობა დაახლოებით უდრიდა მხოლოდ 250 მოსახლეს—1000 სულით. უდინების რიცხვმა საგრძნობლად იკლო და იგი სრულებით გადაშენების გზას დაადგა 1916 წლის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ადერბეიჯანში, მუსავატელების დროს, როდესაც ადერბეიჯანში დამყარდა სასტიკი უწესრიგობა და ყოველგვარ ბოროტებას ფართო გასაქანი მიეცა.

თავის სისასტიკით, დაუვიწყარი და ისტორიული დღე არის უდინებისათვის 1920 წლის 27 მარტი. ამ დღეს მათ სოფელს ვართაშენს თავს დაესხა გამხეცებული რელიგიურ ფანატიკოსთა ბრბოები და დედა-მიწასთან გაასწორა იგი მოკლულ იქნა 57 კაცი; დარბეული და წაღებული იქნა ქონება; გარეკილ იქნა მთელი საქონელი და განადგურებული ყველაფერი, რისიც წაღება შეუძლებელი იყო. ამ უბედურებამ უდინების მოთმინების ფიალა აავსო.; ისინი ან საბოლოვოდ უნდა შერიგებოდენ თავის გადაშენებას ან და უნდა გამოენახათ გზა თავის გადარჩენისა. და აი ამ გზის ძიებაში უდინები თვალს აპყრობენ საქართველოს და იწყებენ მისკენ ლტოლვას, ეს აზრი ძველადაც, მეფის დროსაც იყო დაბადებული უდინებში, მაგრამ მაშინ ამაზე ლაპარაკი ხომ „კრამოლად“ ჩაითვლებოდა და მისზე ოცნებაც ზედმეტი იყო. მეფის ტახტის დამსხვრევის შემდეგ და განსაკუთრებით 1920 წლ. 27 მარტის შემდეგ საქართველოში გადმოსახლება იმდენად პოპულიარული შეიქმნა უდინებში, რომ მათ შორის პატარა ბავშსაც კი ვერ ნახავდით, რომელსაც საქართველოში გადმოსახლება ოცნებათ არ ჰქონოდა გადაქცეული.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ამ მხრივ გადაიდგა მენშევიკების დროს 29 ენკენისთვეს 1920 წელში. ამ დღეს უდინების დელეგაციამ მიმართა მაშინდელ მთავრობას თხოვნით უდინების მიღების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე. მენშევიკებმა ეს საკითხი მხოლოდ დიპლომატიური მიწერ-მოწერით გაათავეს.

საბოლოოდ ეს საკითხი გადასჭრა და ცხოვრებაში გაატარა მხოლოდ საქართველოს საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც წარსული 1921 წლის 29 მაისის დადგენილებით აღიარა აუცილებლივ საჭიროებად ქართველი უდინების საქართველოში გადმოსახლება. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობამ დანიშნა თავისი რწმუნებული ქართველი უდინი ამხ. ზინო სალიკაშვილი, გასცა მის განკარგულებაში გადმოსახლების მოსაწყობად 500 მილიონ მან. მისცა მას მრავალი სამეურნეო იარაღი და საზოგადოთ აღმოუჩინა ყოველივე დახმარება. დღეს ეს დიდი ხნის ნაფიქრალ, ნააზრევი საქმე უკვე ფაქტად ქცეულია, უდინების უკანასკნელი წყება უკვე ჩამოვიდა თავის ახალ სამოსახლოზე წარსული წლის დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში. აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი ღვაწლი და ენერგია, რომელიც ამ საქმეში მიუძღვის მთავრობის რწმუნებულს ამხ. ზინო სალიკაშვილს. ეს პიროვნება რამდენიმე თვის განმავლობაში თაუძინებლად მუშაობდა ამ გადმოსახლების ჩასატარებლად. მას ბევრი დაბრკოლებანი შეხვდა გზაზე, მაგრამ მისმა დაუშრეტელმა ენერგიამ ყველაფერი სძლია და საქმე საბოლოოდ მოაგვარა. დღეს ამხ. ზინო სალიკაშვილი კახეთში უდინების ახალ სამოსახლოზე იმყოფება და ხელმძღვანელობს დასახლებას.

სოფლის მოწყობა სწარმოებს წინასწარ შემუშავებული გეგმით ინჟინრის ხელმძღვანელობით. სამოსახლოდ ამორჩეულია მაღლობი ადგილი, რომელიც გარშემორტყმულია ტყით.

უდინები მიწის მუშა ხალხია, ისინი საზოგადოთ დიდი შრომის მოყვარენი არიან. ამის დასამტკიცებლად საკმარისია ნახოთ სოფელი ვართაშენი, სადაც ისინი სახლობდენ და მისი მიდამოები. მათ ეს კუთხე ბაღად აქციეს და ტყუილად არ ერქვა ამ სოფელს „ვარდთაშენი“. თვით სოფელი გაშენებული იყო ქვითკირის სახლებით თავისი მორთულობით. თუ რამდენად დიდი იყო უდინების სურვილი საქართველოში გადმოსახლებისა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათ მიატოვეს ისეთი მდიდრულად გაშენებული სოფელი. მაგრამ სწორედ ეს გარემოებაა დამამტკიცებელი უდინების დიდი ნებაყოფისა და შრომის მოყვარეობისა. ისინი სტოვებდენ რა თავის გაშენებულ სახლ-კარს, იმედოვნებდენ მტკიცეთ, რომ მათი მარჯვენა, გამხნევებული ცხოვრების ახალი პირობებით, უფრო დიდის ენერგიით მოეკიდება საქმეს და სულ მოკლე ხანში თავის ახალ საცხოვრებელს, ახალ ვარდთა შენად აქცევს (სოფელს ახალი ვარდთაშენი ერქმევა).

ჩვენი მოვალეობა არის ჯერ ამ პირველ ხანებში ხელი გაუწოდოთ ამ ჩვენს ახალ თანამოძმეთ და შეძლებისდაგვარად მათ ქონებრივი და მორალური დახმარება გაუწოთ, რითაც მათ ჩვენ გავამხნევებთ და იმ იმედებს გაუმართლებთ, რომლითაც ისინი მოეშურებოდნენ თავის ახალ სამშობლოში.

ი. ხადაძე.

„კომუნისტი“

— **აჭარის ბაზრის აშენება.** დამთავრდა აჭარის ბაზრის პირველი სართულის აშენება. ამ მოკლე დროში დამთავრდება მეორე სართულის აშენებაც, რომლის საჩქაროდ დასამთავრებლად ენერგიული მუშაობა სწარმოებს.

**შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადი ბათომში.** 1923 წლის იანვრის პირველამდე შრომისა და ტვირთზიდვის ბეგარის ანგარიშში შეგროვილია 2,340,176,000 სწ. ქარ. ბონებითა და 3,807 მან. 50 კაპ. ოქროთი. სულ ბეგრის ქვეშ მოყვა 14,115 კაცი. განთავისუფლებულ იქნა 7,031 წევრი პროფკავშირისა და შეიტანეს გადასახადი 4,323 კაცმა; დარჩა—2,751 კაცი.

**პოვოლჟიის ბავშვების რეევაკუაცია.** შრომის ასაკამდე აღმზდელი განყოფილება აგზავნის პოვოლჟიის ბავშვებს უკანვე, უმეტესობა იგზავნება ცარიცინისაკენ.

**ჯანმრთელობის კომისარიატში.** აჭარისტანის ჯანმრთელობის კომისარიატმა გაგზავნა თავისი თანამშრომელი მოსკოვში შესაძენად კინო-ფილმებისა, რომელთა დანიშნულება იქნება აჭარაში ჰიგიენის, სანიტარიისა და სხვათა ჩვენება და პროპაგანდა.

**სამკურნალო პუნქტები.** აჭარისტანის ჯანმრთელობის კომისარიატი მაზრების ცხრა ადგილას ხსნის სამკურნალო ცხრა პუნქტს, მედიკური პერსონალი უკვე იკრიბება. ფული გადადებულია.

**ლტოლვილები.** უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში აჭარისტანის გაერთიან. ევაკუმმა გაგზავნა ძველ ადგილებში ლტოლვილი ბერძნები 6010; ებრაელები (პალესტინაში) 914; დარჩა ბათომში კიდევ 900 კაცი. ამ ბოლო ხანებში აქ თავი მოიყარა ლტოლვილ სომხებმა,—7 ათას კაცზე მეტმა. მიღებულია ზომები მათი მოწყობის შესახებ. სირიაში გაიგზავნა ლტოლვილი აისორები დაახლოებით 600 კაცი. ამ დღეებში პოლონეთში გაიგზავნება 100 კაცზე მეტი; გაგზავნილია თავიანთ სამშობლოში 400 კაცი დამშეულ გუბერნიებიდან.

**სამტრედია.** მაზრის განათლების განყოფილებამ ცირკულიარული განკარგულება დაუგზავნა ყველა შრომის სკოლებს და ტეხნიკუმებს მასწავლებელთა მიერ თავის მოვალეობის წესიერად შესრულების შესახებ.

— ცირკულიარი ეხება აგრეთვე მოწაფეთა დისციპლინას, რომლის განმტკიცება ევალება ყოველ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს.

— თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის განკარგულებისა მასწავლებელთ აეკრძალათ თავის სასწავლებლის მოწაფეთა კერძოთ მზადება.

**ტეხნიკუმის შენობა.** იანვრის 26 ჩამოვიდა ინჟ. თუმანიშვილი, რომელმაც შეადგინა ტეხნიკუმის ასაგები გეგმა. ინჟენერის თანადასწრებით გაიმართა თათბირი, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ სხვათაშორის ტეხნიკუმის გამგე დ. ლოლობერიძე, ს. ლორთქიფანიძე და სხვა დაინტერებულნი პირნი, როგორც გადმოგვცეს ტეხნიკუმის საძირკვლის ჩაყრა უახლოეს მომავალში მოხდება. ამ თათბირს დაესწრო აგრეთვე ქუთ. მაზრის პოლიტგანყ. გამგე მოქ. გახოკია.

**სკოლების ჩაბარება.** აქაური რკინის გზის სკოლები უკვე ჩაიბარა რკინის გზის სოცკულტის განყოფილებამ.

**ამინდი.** სასტიკად შეიცვალა, გამუდმებული წვიმებია, თოვლ-ჭყაპი და ქარი.

**საქონლის ჭირი.** სამტრედიის რაიონში ნაირნაირი საქონლის ჭირი მძვინვარებს, სოფ. ეწერში მან დახოცა შვეიცარიული ჯიშის ძროხები. მეტად გავრცელებულია ე. წ. „თურქულიც“.

**სახადი.** სამტრედიას და მის მახლობელ სოფლებს მოედო ე. წ. ყვავილი.

ქუთაისის მაზრის სასკოლო სექციების აკადემიურმა საბჭომ განიხილა და მიიღო სკოლებში სახელმძღვანელოდ თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მალაზიის გამოცემა ივ. რუხაძის „საქართველოს გეოგრაფია“.

**სამუსიკო სასწავლებელი.** იანვრის 28 მოხდა სამუსიკო სასწავლებლის საზეიმო გახსნა. გახსნის დღეს მოელოდენ სახალხო განათლების კომისარს ამხ. დ. კანდელაკს.

**ბაზარზე** სიმინდი ისევ გაიაფდა, ყველი და ქათამი ძველებურად ძვირობს. ფართლეული პირდაპირ მიუკარებელი შეიქმნა.

# მუშათა ცხოვრება

### ქალაქის ალმასკომის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული სხდომა, რურის ოკუპაციის გამო

1 თებერვალს მოხდა ქალაქის ალმასკომის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული სხდომა. ამხ. რუხაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა მუშათა გაერთიანებული ფრონტის მნიშვნელობა, რომელიც იბრძვის ევროპის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და მენშევიკების როლი, როგორც შემაფერხებელი მსოფლიო რევოლიუციის. შემდეგ ამხ. რუხაძე შეეხო რურის ოლქის ოკუპაციას საფრანგეთის მიერ და მოუწოდა კრებას გამოსთქვას თავისი ენერგიული პროტესტი საფრანგეთის მძარცველების წინააღმდეგ და მხარი დაუჭიროს გერმანიის პროლეტარიატს. კრებამ იმსჯელა რა რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ—გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „სამარცხვინო ჩირქი მოეცხო ყვითელ ინტერნაციონალს, რომელიც ელობება წინ მუშათა ერთიან ფრონტს, რომელიც იბრძვის მსოფლიო ახალი ომის წინააღმდეგ. თანაგრძნობა ამ მშრომელ მასსებისადმი, რომელნიც მოწინავე მებრძოლად გამხდარა მთელი ქვეყნისა, მესამე ინტერნაციონალის სახით, რომელიც ცდილობს მუშათა მშრომელ მასების განთავისუფლებას იმპერიალისტურ მონობიდან და სწამს რომ არ არის შორს ის დრო, როდესაც იმპერიალისტური ზავი შეირყევა მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციის წინაშე. ძირს სამარცხვინო ოკუპაცია, გაუმარჯოს მუშათა გაერთიანებულ ფრონტს!

— **ალმშენებლობითი კავშირში.** ალმშენებლობითი კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა აუცილებლად სცნოს თავის ყველა წევრთათვის პროფესიონალურ ტეხნიკურ კურსებში შესვლა და ამას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რათა ყველა წევრები ჩაეწერნენ ამ კურსებში. 28 წლამდის წევრნი ვალდებულნი არიან ამ კურსების გავლას. 28 წლ. ზევით კი წევრებს შეუძლიათ სურვილით ჩაეწერნენ კურსებში.

— კავშირთან არსებობს ალმშენებლობითი განყოფილება, რომლის ფუნქციებში შედის: ალმშენებლობითი წევრთა „ამხანაგობის“ დაარსება, სადაც შეერთებული იქნება ალმშენებლობითი კავშირის ყველა ცეხები.

— ალმშენებლობითი კავშირის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ითათბირა მუშა-მოსამსახურეთა გასამრჯელოსთვის ახალი ტარიფის გატარებაზე ცხოვრებაში, რომელიც საქონლის ტარიფით უნდა მიიღონ გასამრჯელო მუშა მოსამსახურეებმა. ახლო-მომავალში სატარიფო ცხრილი დაიყოფა კატეგორიებად.

— კავშირმა მოახდინა რაიონულ კომიტეტის წევრთა ახალი არჩევნები.

# განათლების მუშაკთა მე-2 ყრილობა

(გაგრძელება)

ასეთსავე დიდ ყურადღებას აქცევდა კავშირი შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევის საკითხს. ასეთები ზოგიერთ რაიკომებთანაც კი დავაარსეთ შრომის დაცვის საკითხი კარგ ნიადაგზე იდგა, ამ ორგანომ 90 პროც. მთხოვნელებისას აღმოუჩინა შესაფერისი დახმარება. მედიკური დახმარება აღმოეჩინა მხოლოდ ტფილისს, პროვინციას კი ასეთი დახმარება ვერ მივაწოდეთ ტეხნიკური მიზეზების გამო. შრ. დაცვის განყოფილებიდან 50 კაცმა მიიღო დახმარება პენსიის სახით. ამას გარდა შევქმენით უმუშევართა ფონდი საიდანაც უმუშევარმა ამხანაგებმა მიიღეს 5.3000 სადილი.

ურთიერთ დამხმარე კასამ, რომელიც პირველ ხანებში არ სარგებლობდა ზოგიერთების ნდობით, უკანასკნელ ხანებში სავსებით გაამართლა თავისი არსებობა და ამხანაგების ეჭვიანობა მისდამი მოისპო.

საკონფლიქტო კომისიაც ენერგიულად მოქმედებდა. მან თავისი არსებობის სიგრძეზე გაარჩია 116 საქმე, რომელთა რიცხვიდანაც 90 პროც. გადაწყდა მომუშავეთა სასარგებლოდ. ეს კომისია დღეს აღარ არსებობს კავშირთან. ის გაუქმდა და მისი ფუნქციები დაევალა შრომის კომისარიატს.

ტარიფის საკითხი სხვა გვარად იყო წინეთ არსებობდა 30 ხარისხი—ჩვენ ეს შევცვალეთ და მის მაგივრად დავაარსეთ 17 ხარისხი. ამხანაგების კვალიფიკაციის დროს ვხელმძღვანელობდით პრაქტიკული სტაჟის და განათლების ცენზის მიხედვით. დაბალი მოსამსახურეები გადარიცხულ იქნენ მე-2 ხარისხიდან მე-3-მეში. შრომის ნორმად თუ წინეთ 36 საათი არსებობდა ჩვენ იგი დავიყვანიეთ 24—21—15 საათამდე. შარშან თუ განსაზღვრული იყო შრომის უმაღლესი ნორმა რის მეტის მიღებაც არ შეეძლოთ მასწავლებელთ, წელს ეს მოისპო და დარჩა მხოლოდ პროფესორებში სადაც ორი განაკვეთზე მეტის მიღება არ შეუძლია არც ერთ პროფესორს.

შეიქმნა ახალი ჯილდონი. საბავშო ბაღებში, ავჭალის კალონიაში, საცდ.-სანიმუშო და უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც აწეული ტარიფებია. დამტკიცებულა 23 კოლექტიური ხელშეკრულება. ამ დღეებში ხელი მოეწერება და ძალაში შევა გენერალური ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ნივთიერი მდგომარეობისათვის. სადაც ხელშეკრულება გიტარდება იქ უნდა შესდგეს შემფასებელი კომისიები, ჩვენი სატარიფო განყოფილება ღებულობდა მონაწილეობას განათკომის ფონდების შექმნის დროს. განათლების კომისარიატის ფონდი იანვარში უდრიდა 110,547 მანეთს საქონლის მანეთით (товар. рубль) ამ ფონდებიდან გამოყოფილ იქნა სხვა და სხვა კულტურული მუშაობისათვის რამდენიმე პროცენტები, როგორიცაა მაგალითად: სპეცებისთვის (15.66⁰/₀) კულტ. მუშაობისათვის (1 პროც.) სოც.-დაზღვევის კასაში (14 პროც.) და ადგილკომების შესანახად (1 პროც.) მთელი ეს თანხა ბონებით უდრის 75 მილიარდ მანეთს.

მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა ეს ძალიან რთული საკითხია. ამ საკითხის მოუგვარებლობაში ჩვენ ბევრს გვიკიჟინებენ, მაგრამ ხშირად ზოგიერთების კრიტიკა უადგილოა. ჩვენი მოქმედების დროს მთავარი ყურადღება ექცეოდა ამ საკითხს და უნდა ითქვას რომ შესაფერისს შედეგებსაც მივაღწიეთ. პირველ რიგში ჩვენ მოვაგვარეთ პროვინციული მასწავლებლების მიერ ძველი ჯამაგირების მიუღებლობის საკითხი. ეს ჯამაგირები მთავრობის ვალად იყო გადაქცეული. მათ მიუღებელი ქონდათ ჯილდო მაისიდან—ენკენისთვემდე, ხოლო ტფილისში კი 2 თვის ჯამაგირები არ იყო დარიგებული. ეს დავალიანება მოისპო: ჯამაგირები ეხლა მხოლოდ ერთ თვეს აგვიანდება და თებერვლიდან ეს გარემოებაც სავსებით მოისპობა, და მასწავლებელთა ჯამაგირები სისტემატიურად ყოველ თვეში იქნება თავის დროზე. ამ გვარად ტფილისში ჩვენი ორგანიზაცია ჩქარა სრულიად გაჯანსაღდება, ხოლო პროვინციაში, სანამ არ იქნება შემოღებული პროც. გადასახადები, საქმე ვერ ჩადგება ნორმალ კალაპოტში.

ამის შემდეგ იგივე მოხსენებას, მომხსენებელი აკეთებს რუსულ ენაზე.

ცენტრალური გამგეობის მოხსენების მოსმ. შემ. სიტყვ. მისალმებისათვის ღებულობს ამიერ-კავკასიის ს. ს. ფ. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მამია ორახელაშვილი.**

აღნიშნავს რა ორატორი საბჭოთა ქვეყნების ეკ. ორგანიზმის აღდგენის საკითხს, ამბობს: ჩვენ გვმართებს უდიდესი ყურადღება მივაპყრათ კულტურულ ფრონტს, იმ დროს როცა ეკონომიური ფრონტი ასე თუ ისე მოგვარებულია, თავისი მოქმედების დღის წესრიგში მთავრობა სვამს საკითხს კულტურული შემოქმედების გასაძლიერებლად. ეს საკითხი არის უდიდესი ღირებულებისა ჩვენთვის. ამ ჟამად ჩვენ ფედერატიულად გავერთიანდით დიდ ტანიან სახელმწიფოსთან და რომ ჩვენი კულტურა არ გაითქვიფოს მასში, საჭიროა ჩვენი ეროვნული კულტურული ფრონტის გაძლიერებაა. **ერი ეს ისტორიული მოვლენა არის ის დიდი ხანია არსებობდა და დიდხანს იარსებებს,** მხოლოდ ჩვენ გვწამს, რომ დადგება დრო, როდესაც პატარა ეროვნებანი აღარ იარსებებენ. ამ პროცესს (ერის გადაგვარებისას. რედ.) ჩვენ არ ვაჩქარებთ, არამედ ეს ჩვენის აზრით მოხდება ევოლიუციონური თანდათანობით. ჩვენ ვიცავთ ეროვნული კულტურის მძლეობას. ჩვენ ვერ მივალთ ქართველ ხალხთან ისე, თუ არა როგორც ქართული ეროვნული კულტურის წარმომადგენელნი.

ჩვენ ვიცით, რომ განათლების მუშაკთა შორის არიან საბჭოთა ხელისუფლებისადმი შეურიგებელი მოწინააღმდეგენი. ეს გარემოება არ არის ჩვენთვის უცხო, არც დასამალავი. მაგრამ აღსანიშნავია. რომ ასეთთა რიცხვი თანდათან კლებულობს. ამას აქვს თავისი გასამართლებელი მიზეზები თუ პირველ ხანებში ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით, გასაგები გარემოების გამო განათლების საქმეს საქართველოში, უკანასკნელ დროებში ეს ნაკლიც გამოვასწორეთ და დავანახვეთ ყველას რომ ამ მხრივაც შევგწევს უნარი მუშაობისა. და ეს ხალხი დარწმუნდა, რომ „ბარბაროსული“ მთავრობა „ნგრევისა“ და „დაშლის“ სახელით მონათლული ხელისუფლება დღეს შეგნებულად იცავს განათლების და კულტურული შემოქმედების საქმეს. ეს ჩვენ დავამტკიცეთ პრაქტიკულად.

დასავლეთის ორიენტაციისაკენ ცქერის ილიუზიები დღეს ყველას დაემსხვრა და ვფიქრობთ, ეს ხალხი დარწმუნდა, რომ ერთად ერთი გზა არის სოციალისტური რევოლიუციის ორიენტაციისაკენ. დღევანდელი ჩვენი ხელისუფლების სურვილია ეს ყრილობა, ყრილობა განათლების მუშაკთა, აერთიანებდეს ყველა მუშაკს ამ ფრონტზე, საკუთარი პარტიული და ეროვნული ვინაობის შენარჩუნებით. ეს ყრილობა ისტორიულიც უნდა იქნეს იმ მხრივ, რომ დღეიდან შეიქმნება მტკიცე კონტაქტი განათლების მუშაკთა და ახალი ხელისუფლების შორის.

ყრილობა ორატორს ტაშით აჯილდოებს.

ამის შემდეგ სხდომა გადადის მორიგ საკითხზე. შეკითხვები ცენტრალურ გამგეობის მოხსენების გარშემო. სულ არის 11 შეკითხვა სხვა და სხვა საკითხებზე როგორიცაა მაგ. სატარიფო სარტყლებათ დაყოფის შესახებ, რკინის გზის სკოლების შესახებ, პროვინციასთან კავშირის, მკურნალის, დარაჯების ჯილდოს სიმცირის‘ პედაგოგიური სექციის მუშაობის, ჟურნალის გამოცემის საკითხის, ძველი ვალების და სხვა მაგვარი საკითხების შესახებ. ცენტრ. გამგეობის მომხსენებელი ამხ. გეგენავა აძლევს პასუხს ყველა შემკითხველებს.

რის შემდეგაც სხდომა იხურება.

კამათი მოხსენების გარშემო გადატანილია მორიგი სხდომისათვის.

**მე-3-მე სხდომა.**

კრება იხსნება 10 ს. 20 წ. მოხსენებას აკეთებს კავშირის სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. საყვარელიძე, რომელიც არკვევს კავშირის ფინანსიურ-ადმინისტრატიულ მდგომარეობასა, იხილავს ბიუჯეტს, შემოსავალ-გასავლის საქმეს. მოგვყავს რამდენიმე ციფრი ხარჯთ-აღრიცხვის ნათელსაყოფად. კავშირს ქონია ორი სასადილო. საიდანაც სადილი ეთმობა უმუშევართა 200 ოჯახს. მასზე დახარჯულია 24 მილიონი; 60 მილიონი დახარჯულია კანცელიარიის ნივთებისათვის; 4.935.000 დახარჯულია სამნეო ხანჯებისათვის. საინვენტარო წიგნი მშვენივრადაა წარმოებული,

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ იხსნება კამათი გამგეობის მოხსენების (გეგენავა) გარშემო.

ლეჩხუმის წარმომადგენელი **კოპალიანი** აღნიშნავს კავშირის გამგეობის პასიურობას პროვინციისადმი და კერძოთ ლეჩხუმის კავშირისადმი.

ანალოგიურივე სიტყვით გამოდის მორიგი დელეგატი.

— რაჭის მაზრის წარმომადგენელი **გიორგობიანი:** რადგანაც დღის წესრიგიდან ამოღებულია. ადგილებიდან მოხსენებანი მე ვსარგებლობ მოხსენების გარშემო გამართული კამათით და აღვნიშვან იმ გარემოებათ, რასაც ადგილი ქონდა რაჭის მაზრაში. ჩვენი მაზრა ძალიან დაშორებულია ცენტრს. არ არის მოწყობილი კარგათ განათლების განყოფილება. ცენტრიდან იქ არავინ ჩამოდის და ყოველგვარ ცნობებს და ინსტრუქციებე მოკლებული ვართ. ჩვენ გამოვგზავნეთ აქ, ცენტრში ჩვენი წარმომადგენელი. მაგრამ მაინც მიზანს ვერ მივაღწიეთ. ადგილობრივი განათ. განყოფ. თავის სურვილების მიხედვით აწესრიგებს განათლების საქმეს როგორიცაა გადაყვანის და დათხოვნისას, კავშირის დაუკითხავათ. ჩვენ ამის შესახებ გამოვგზავნეთ ფართო მოხსენება ცენტრალურ გამგეობაში, მაგრამ იგი სრულიად უყურადღებოდ დარჩა, — ჯამაგირებს ვღებულობთ ძალიან დაგვიანებით მაგ. 1922 წ. იანვრის ჯამაგირები მივიღეთ 9 თვის შემდეგ სექტემბერში ხოლო შემდეგ კი სამი თვეობით აგვიანდება მას. მაზრის განყოფილებამ ჩვენ აგვიკრძალა გვქონოდა 36 საათზე მეტი მაშინ, როცა ზოგიერთ მასწავლებელს 50 საათამდე ჰქონდა. ულუფა ხომ სრულებით არ არის შესაფერისი.

ონში არის ტეხნიკუმი, რაც ძალიან მოუწყობელია ტეხნიკურად. ტეხნიკუმში არ არის მაგ. პიანინო. მოწაფე ათავებს საშ. სასწავლებელს და არა აქვს მას წარმოდგენა პიანინოზე. ამას ვფიქრობთ ბოლო უნდა მოეღოს.

**ჩარექიშვილი.** მართალია კავშირმა მრავალი რამ გააკეთა, მაგრამ მასწავლებელთა მდგომარეობა მაინც არ არის გამოკეთებული. ჩვენ არ გვშურს, რომ სხვა მოსამსახურეები ჩვენზე 100 პროცენტს მეტს ღებულობენ, მაგრამ ჩვენი ჯამაგირებიც აუცილებლად მოითხოვს გადასინჯვას.

ჯამაგირების გამოსათხოვი ფურცლების დანიშნულებისამებრ წარდგენის საქმე უნდა გაადვილდეს. არ არის საჭირო რაიკომის და დელეგატის ხელმოწერა საკმარისია სკოლის გამგემ მოაწეროს ხელი მას შემდეგ გაგზავნოს კავშირში, —ხოლო იქიდან განათლების განყოფილებაში.

**ცინცაძე.**—სარევიზო კომისია ვერ მდგარა თავის სიმაღლეზე. მის მუშაობას თურმე შემთხვევითი ხასიათი ქონია. არჩევნების კომპანია ვერ ჩატარდა შესაფერისად. „ტეკოს“ მუშაობაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

**გიგინეიშვილი.** აქ ამბობენ, რომ თითქოს ჩვენი ჯამაგირები იმატებენ, მაგრამ ეს არ არის მართალი თუ ავიღებთ მაგ. ოქტომბრის—ნოემბრის და იანვრის ჯამაგირებს ჩვენ დავინახავთ, რომ იანვარში მხოლოდ ბონებით გადიდდა ჯამაგირი. ხოლო რომ ეს ფასი გადავიტანოთ ოქროს კურსზე ან საქონლის მანეთზე დავინახავთ, რომ იანვრის ჯამაგირი 50 პროც. ნაკლებია, ნოემბრის ჯამაგირზე. ეს არ ნიშნავს ჯამაგირების ზრდას.

**შავერდოვი.** ბრალდებანი, წამოყენებული ზოგიერთი ორატორების მიერ სრულიად სამართლიანად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ირთან უმართებულო ბრალდებანიც, როგორც მაგალითად ჯამაგირების სიმცირეს და სხვა გვარი უზრუნველყოფის შესახებ. აქ იქნა შედარება განათ. მუშაკთა ტარიფისა სხვა დარგის მომუშავეთა ტარიფთან. მაგრამ მათ უნდა მოეხსენებოდეს, რომ კავშირი არ არის სახელმწიფო დაწესებულება და როგორც ასეთმა მან მრავალი ზომები მიიღო ამ ტარიფის გასადიდებლად როგორიცა, მაგ. გენერალური ხელშეკრულების დადება, რომელსაც ამ დღეებში მოაწერს ხელს სახალხო განათ. კომისარი. ჩვენ ვერ დავიჭირეთ ახლო კავშირი პროვინციასთან. ეს მართალია ჩვენ მივიღეთ ძველი კავშირისაგან დაშლილი პროფესიონალური ორგანიზაცია ეს იყო ვიწრო ცეხური ხასიათისა, ჩვენ შევქმენით მთლიანი კავშირი განათლების მუშაკთა და საგრძნობლად გავაძლიერეთ მისი ორგანიზმი.

**ცხაკაია.** იცავს კავშირის გამგეობის მოქმედებას და სცდილობს უარყოს ზოგიერთი ბრალდებანი კავშირის გამგეობის მიმართ წამოყენებული.

დასასრულს ლაპარაკობს ამხ. **ჟურულაშვილი,** რომელიც აკრიტიკებს ოპონენტების სიტყვებს და უარყოფს ზოგიერთ უსაფუძვლო ბრალდებებს.

კამათის დასრულების შემდეგ ამხ. **გეგენავა** უპასუხებს ყველა ოპონენტებს შესაფერისად და კვლავ იცავს წარმოდგენილ მოხსენებას.

რეგლამენტის მიხედვით სხდომა შეწყვეტილად ცხადდება.

(შემდეგი იქნება)

# მართმადიდებელ ეკლესიის დაშლა და „ცოცხალი ეკლესია“ რუსეთში

**(წერილი პეტროგრადიდან),**

(გაგრძელება*)

**დ. „ცოცხალი ეკლესია“.**

ვინ არიან ეს ვარდისფერ ტოგებში გახვეულნი, გადატრიალების მომხდენნი, „მკვდარ ეკლესიის“ მაგიერ განახლებულ „ცოცხალ ეკლესიის“ შემქმნელნი? როგორი აზრები ტრიალებთ მათ თავში? რა მიზნებს ისახავენ მომავლისათვის, რა სურთ მათ?

ამ კითხვებზე პასუხს მივიღებთ თუ გადავათვალიერებთ „ცოცხალ ეკლესიის“ ყრილობის ანგარიშებს და გადავშინჯავთ ჟურნალ „Живая Церковь“-ის ნომრებს.

ვინ არის დამნაშავე? ან პირველი სა-

*) იხ. „ტრიბუნა“ № 113.

კითხი, რომელიც წამოაყენა ყრილობამ რომ დაემშვიდებია თავის უსვინდისო, სვინდისი და ამავე დროს თავი გაემართლებია იმ სამწყოს წინაშე, რომელსაც კვლავ უნდა დაბრუნებოდა და რომლიდგანაც თავი უნდა ერჩინა მომავალში. დამნაშავეს დაუწყეს ყრილობაზე ვულმოდგინეთ ძებნა და როგორც იქნა მიაგნეს: თურმე უმთავრესი ბოროტება, მთავარი და ერთად ერთი დამნაშავე ეს „სწავლული ბერობა“ ყოფილა, ის ბერობა, რომელიც თავის წრიდან ზრდიდენ „ეკლესიის კნიაზებს“, რომელთა წყალობით რევოლიუციის დროს ეკლესიას კონტრრევოლიციონური სახე მიუღია (თითქოს უწინ დემოკრატიულ და სოციალისტურ სახის მატარებელი იყო). და აი „ცოცხალ ეკლესიის“ ყრილობამ აღმოაჩინა რა მიზეზი უბედურების და ბოროტებისა „სწავლული ბერობის“ სახით, დაუზოგლად დასცა მას ლახვარი, მაგრამ ისე, რომ ამ ლახვრის დაცემით თავი არ დაეზიანებია, ძლიერ მძლავრად არ მოსვლოდა ხელის აქნევა და თავის პირად ინტერესებისათვის არ ჩამოეჭრა რა, არამედ თუ შესაძლებელი იქნებოდა კიდევაც შეემატებია. მართლადაც რომ შეიმატეს, უარყო რა „სწავლული ბერობა“ ყრილობას შემდეგი რეზოლიუცია გამოაქვს: „შეზღუდვა უფლების, რომ ცოლიან მღვდელს არ შეუძლიან ეპისკოპოზის ხარისხის მიღება და აგრეთვე შეზღუდვა უფლების, რომლითაც ბერებს, მღვდლებს და დიაკვნებს არ შეუძლიათ მეორე ცოლის შერთვა, აღთქმის მოხსნის შემდეგ—ყველა ეს შეზღუდვანი **ბუნების წინააღმდეგია, არ შეეფერება თანამედროვე ცხოვრების მიერ** წამოყენებულ ზნეობრივ მოთხოვნილებებს, ეწინააღმდეგება აგრეთვე წმინდა მოციქულების 5 და 51 კანონებს, ანკირის ყრილობის მე 10 წესს და ძველ აღმოსავლეთის ეკლესიის პრაქტიკას“. ხელმძღვანელობს რა ზემოხსენებულ მოსაზრებებით და კანონებით ყრილობა ადგენს **დაუყოვნებლივ** გატარებულ იქნეს საეკლესიო უმაღლეს მართველობაში შემდეგი ზომები: „ა) ცოლიან მღვდლებს გზა გაეხსნას ეპისკოპოზის ხარისხის მიღებისა, ბ) ნება დაერთოს ბერ-მონოზნებს, აღთქმის მოხსნის შემდეგ, ქორწინებისა, იმავე ხარისხში დატოვებით, რომელშიაც იმყოფებოდა, გ) დაქვრივებულ დიაკვნებს და მღვდლებს ნება დაერთოს მეორედ ცოლის შერთვისა, დ) ნება დაერთოს ყველა სასულიერო პირს არა მარტო ქალწულთა (როგორც აქნობამდის იყო) არამედ ქვრივ დედაკაცების შერთვისაც“.

აი „ცოცხალი ეკლესიის“ პირველ ყრილობის დადგენილებანი ოჯახურ და ქორწინების სფეროში. იმდენი იმეცადინეს სულიერმა მამებმა, რომ გამონახეს ცოლშვილიანობის და ოჯახური იდილიის მოწყობის გასამართლებელი საბუთები. რით არ არის ასეთი გადატრიალება რევოლიუციონური, რომ ამავე დროს ასეთი საქმიანობა განახლებულ ეკლესიის მესვეურებისა გულწრფელად სასაცილო არ იყოს.

მოსპეს რა ბუნების საწინააღმდეგო შეზღუდვანი, ჩამოირიგეს რა ქვრივ მღვდელ-დიაკვნებ-ეპისკოპოზებმა ზოგმა ქალწულნი და ზოგმაც კი ქვრივნი დედაკაცები, ერთი სიტყვით შექმნეს რა ოჯახური სამოთხე ამ ქვეყნად, ყრილობა შეუდგა პოლიტიკურ საკითხების გარჩევას და გამოიტანა სათანადო დადგენილებანი და წინადადებანი.

უპირველესად ყოვლისა ყრილობა თმაში და წვერებში ეცა ყოფილ პატრიარქ ტიხონს. გაიპარსოს და ჩამოერთვას ყოველივე სასულიერო ღირსებანი—დაიძახა ერთხმად ყრილობამ, მაგრამ რადგანაც ყრილობას ამის უფლება არ ქონდა, სურვილი ესე გადადვეს სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობაზე შესატანად. საინტერესოა აგრეთვე ყრილობის კამათი საბჭოთა ძალა-უფლებისადმი დამოკიდებულების შესახებ. მღ. ალბინსკი აი რას ამბობს „სწავლულ ბერების დანაშაულებაა, რომ სამხედრო ფრონტებთან ერთად აღიმართა სასულიერო ფრონტი, რომელზედაც აგრედვე დაიღვარა სისხლი“, ხოლო ნიჟეგოროდელი ეპისკოპოსი ევდოკიმი დასძენს: „საეკლესიო განახლებას ხელს უშლიდა არა საბჭოთა ხელისუფლება, არამედ საეკლესიო, პატრიარქ ტიხონის და მის თანამშრომლების სახით, როგორიცაა მაგ.: არქიეპისკოპოსი ნიკანდრი, რომელთა წყალობით ეკლესიის სამარცხვინოთ, დაიღვარა სისხლი“.

ამნაირად ეკლესიის მთელი ბოროტება იმაში ყოფილა, რომ ასეთი სისხლის მოყვარულ პირებს შეუყრია თავი ეკლესიაში და რაკი ყრილობა მათ იცილებს თავიდან, მომავალში საქმე კვლავ გამოკეთდება, გაწმენდილი ეკლესია კვლავ სპეტაკ და უბიწო სახეს მიიღებს. აი რა გზით სურს მოატყუოს ყრილობამ გლეხები და მუშები.

უმაღლესმა საეკლესიო მართველობამ არ დაიშურა თავისი ძალა და ღონე გაწმენდის მოსახდენად. არ დაზოგეს მიტროპოლიტები, არც მღვდლები და დიაკვნები. გამოამარგლეს მათ რიგიდან არა სასურველი პირები და ულმობლად შემოპარსეს თმა-წვერები მაკრატლით მეეტლეთა ყაიდაზე. ჟურნალი „Живая церковь“-ის მე-6 და 7 ნომრები ავსებულია ასეთი დადგენილებებით.

ამავე დროს ეკლესიას დაუბრუნეს ყოფილი ბოროტი სულები: მოხსნეს ანათემა მუშების და გლეხების მთავრობას, დაუბრუნეს ეკლესიას მაინე სული ლ. ტოლსტოისა, ერთი სიტყვით არ დაზოგეს არც ერთი საშუალება თავის რევოლიუციონურ ლტოლვილებათა დასამტკიცებლათ. განა რევოლიუციონური არ არის დაბრუნება ეკლესიისადმი ბოლშევიკების და ტოლსტოისა, რომლებსაც ეკლესია ცრუ-მორწმუნოების და ყველეფა-ტყავების ბუდეთ მიაჩნიათ? თავისი წინ ქანაობით ყრილობა კომუნიზმის აღიარებამდის მივიდა, ამასთანავე გამონახა, რომ კომუნიზმის მატარებელი კომუნისტების ადრე სამღვდელოება ყოფილა. აი რას სწერს „ცოცხალი ეკლესია“ თავის მოწოდებაში: „სამღვდელოების, კლირიკების და მორწმუნეთა უმრავლესობა, ჯერ კიდევ რუსეთის სოციალურ რევოლიუციის დაწყებამდე, ძლიერ ადრე, წინასწარ სჭვრეტდა მის (სოციალურ რევოლიუციის) **აუცილებლობას და სრულ სამართლიანობას**, ისე როგორც აუცილებლად მიაჩნდა საჭიროება მსოფლიოს მშრომელთა შეერთებისა, მშრომელ-დამონებულ ადამიანთა უფლებების დასაცავათ იმ კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან, რომელიც წარმოადგენდა ერთ სახეს ურწმუნოებისას“. ამისათვის დღეს, უმატებს მღ. კრასნიცკი „სასულიერო ძალა უფლებას დაუახლოვოთ ერის კაცნი, მაგრამ მხოლოდ ისეთები, რომლებიც მშრომლებს შეადგენენ და არა ექსპლოატატორებს და დამჩაგვრელებს“. ხოლო მღ. როდნაკოვი კიდევ უფრო არღმავებს და გამოსთქვამს სურვილს რომ „ქრისტიანთა ეკლესია განსახიერება უნდა იქმნეს კომუნიზმისა, ხოლო კომუნიზმი კი რელიგიოზურ სახის მატარებელი“.

ლვოვი-კი, სწორედ ის ლვოვი, რომელიც სინოდის ობერ-პროკურორი იყო კერენსკის მთავრობის დროს, ის ლვოვი რომელიც თაყვანსა სცემდა იმპერიალისტურ მისწრაფებებს, ხელს აფარებდა და აწერდა ჯარისკაცთა სიკვდილით დასჯაზე, რომელიც გუშინ სარატოვის მემამულეს და აზნაურს წარმოადგენდა, ადგილი ქონდა დაკავებული სახელმწიფო სათათბიროს მარჯვენა სკამებზე, ხან თვალს უპაჭუნებდა ოქტიაბრისტებს, ხანკი მკლავს უკეთებდა კრუპენსკის, დღეს ნამუს დაკარგული, ზომა გადაჭარბებული აი რას ამტკიცებს „Живая Церков“-ის ფურცლებზე (№ 4 და 5): „იდეალი ინტერნაციონალისა-ქრისტიანული იდეალია იდეალი კომუნიზმისა—ქრისტიანული იდეალია“ დ ბოლოს დასძენს „ქრისტიანული იდეალი, ლოზუნგები: ძმობა, ერთობის დ თავისუფლების საფრანგეთის რევოლიუციისა და კომუნისტური ინტერნაციონალი ერთი და იგივეა (тождественны) როგორც თავის მიზნებით, ისე კაცობრიობის საკეთილდღეოთ ნაწარმოებ კონკრეტულ მუშაობით“.

აღარ მოვიყვანთ დანარჩენს ამონაწერებს, რომლებიც არა ნაკლებ კურიოზულ სახის მატარებელია. ჩვენის აზრით ზემომოყვანილი ამონაწერებიც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ რაში გამოიხატება განახლება ეკლესიისა ან როგორი პირებისაგან შესდგება განახლებული ეკლესია.

(დასასრული იქნება)

ტ. ჩუბინიძე.

# პატარა ფელეტონი

### საუბარი მუზასთან!

მუზავ, ხომ გახსოვს? ორმოც წელს
მწერლობის გზაზე მატარე;
დამტანჯე, სიტკბო-სიამე
ახლოც არ მომაკარე!..
სად არ მაფრინე გონებით,
ოცნება გამიასკეცე!
ზღვის უფსკრულს, ხმელეთს, მაღლა ცას
ფარდა ახადე, აჰკეცე.
სარკე გაშალე ოცნების,
შიგ ჩამახედე ბრძნულათა
და საიდუმლო ბუნების
მამცნე, მამხილე სრულათა.
მეც ჩავწვდი ბუნების სიღრმეს
გონება-სისპეტაკითა,
იქ ვპოე მარგალიტები,
ავკრიფე წვით და დაგვითა...
ცის კაბადონზე ავფრინდი.
ღრუბლებმა შემიფარესა,
და განვიცდიდი აქედან
მთელ ქვეყნის არემარესა.
მზესა, მთვარეს და ვარსკვლავებს
ვამცნე გულისა ბოლმანი,
და ავაკვნესე საკრავნი:
ძმობა, წინწილი, ბობლანი.
ზღვა და ხმელეთი, ტყე, ველი,
ბუჩქ-კორდი, რუი და ღელე,
უტყვი არსება სიმებზე
ვაცლერე, ავამეტყველე....
მუზავ! გემდური, დამლალე...
მინდოდა დამვიწყებოდი,
შენ მაინც არ მომისვენე,
უეცრათ მოფრინდებოდი...
ტკბილი ალერსით მიმღერდი
და ყურში ჩამჩურჩულებდი:
„წმინდაა შენი შრომაო“,
სულ ამას ჩამჩიჩინებდი...
იცი რა მოხდა ამ შრომით?
სიბერე წამომეწია...
უმაღლი, მიხედა მთავრობა,
და დამინიშნა პენსია.
თუმც ერთი კვირის საზრდოსა
არ ცილდებოდა ზომითა,
მე მაინც დამშვიდებული
ვიყავი სრულის გრძნობითა.
მუზავ! ვილაცამ შესცვალა
მთავრობის განაწესია...
ვერც კი გავიგე ვინ იყო,
ზე ამაღლიტა პენსია!!...
ნეტაი სულ არ მოეცათ,
ვერ გავიგებდი დასჯასა...
ალბათ შეშურდათ, ეგონათ
მით ვიკერავდი ფარჩასა.
დეე, იხაროს ჩემს გარდა
სულ ყველამ ალმაფრენითა...
თუ ღირსი არ ვარ, რათ მინდა
გზა ია-ვარდის ფენითა!..

რ. ხაჯაგაზოელი.

1923 წელი
იანვარი 16.

# შ. კარმელი

მოულოდნელად გვაცნობა გაზეთმა, რომ ქუთაისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოეტი შალვა კარმელი.

შალვა კარმელი არა ჩვეულებრივი ახალგაზრდა ენერგიით აღსავსე ყმაწვილი იყო.

მისი ქვიანი სახე მაჩვენებელი იყო იმის, რომ მასში პოებდი საუკეთესო მეგობარს და თანამგრძნობს.

მე არ მინდა ვილაპარაკო მისი პოეზიის შესახებ მხოლოდ მინდა აღვნიშნო რომ მისი დაკარგვით, ჩვენ, მისმა მეგობრებმა, დავკარგეთ საუკეთესო ადამიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მე მახსოვს უკანასკნელი დღეები შალვასთან ტფილისში, მახსოვს ისიც, როდესაც ჩვენ მისი ამხანაგები მივედით მასთან. შალვა ძალიან ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ ჩვენმა მისვლამ იგი გაამხნევა და სთქვა (თუნდაც ძალიან უძნელდებოდა სიცხის გამო) ნუ გეშინიათ მეგობრებო ერთ კვირაში მოვჯობინდები, წავალ ქუთაისში და შეიძლება მთავრობის და მწერალთა კავშირის დახმარებით წავიდე სოხუმშიო. გაიდა ერთი კვირა, მაგრამ შალვა კვლავ ებრძოდა საშინელ ავადმყოფობას, რამაც ძლიერ დაასუსტა. გადასწყვიტეს ამხანაგებმა გაეგზავნათ მშობლებთან ქუთაისში იმ იმედით, რომ შეეძლებოდა სოხუმში წასვლა. მაგრამ სამწუხაროთ მისი მოვლის ინიციატივა არავინ აიღო და ის სულ მოკლე ხანში გამოესალმა ამ წუთისოფელს.

გარდაიცვალა ახალგაზრდა პოეტი, რომელსაც ბევრის გაკეთება შეეძლო ქართველი ერისათვის.

განისვენე ძვირფასო ამხანაგო შალვა და გწამდეს, რომ შენი ხსოვნა მუდამ იქნება შენს მეგობრებსა და ნაცნობებს შორის.

ლახკარი.

# მოწერილი ამბები

## წერილები სოფლიდან

### უხბორებოდ ძროხების ყოლა.

ჩვენში ხბოს არ აშორებენ ძროხას; ეს კი კარგი არ არის, როგორც ძროხისათვის, ისე ხბოსათვის, რადგანაც ხბოიანი ძროხა იძლევა ნახევარზე ნაკლებ რძეს და თითონ ხბოც სიმშილისაგან კარგი ვერ იზრდება.

უმჯობესია ასე მოიქცეთ: მოგებულ ხბოს დედის ძუძუ აწოვეთ მხოლოდ პირველი ერთი კვირა; მერე მოაშორეთ დედას და ორი კვირის განმავლობაში აჭამეთ ისევ დედისა ანუ სხვა ძროხების რძე დღეში ოთხჯერ. ახლა შემდეგი სამი კვირის განმავლობაში აჭამეთ ნაღებ მოხდილი და წყალში გახსნილი რძე, რომელსაც შეურევთ თითო მუჭა ფქვილს. გამოვიდა სულ ექვსი კვირა. ამის შემდეგ შეაჩვიეთ ნელ-ნელა ბალახს თუ თივას და ხბო მშვენივრად გაგეზრდებათ. თითონ ძროხაც მალე ეჩვევა უხბოდ მოწველას და ორჯელ მეტს რძესაც იძლევა.

**დვრიტა.***) დვრიტა არის მცოხნავი ცხოველების კუჭის ბოლო ნაწილი, რომლის შემდეგ იწყება ნაწლავები. საუკეთესო დვრიტა გამოდის მაშინ, როცა იღებთ რძით კარგად ნაკვებ ბატკნისაგან თუ ხბოსაგან. ამოღებულ დვრიტას უნდა მოაშოროთ ყველაზედ მეტი ნაწილები თუ ხორცი, გადმოაბრუნოთ შიგნითი მხარე, გამოყაროთ რაც შიგ ნახაჭოვარია, გარეცხოთ, გაავლოთ წყალში, კვლავ გადმოაბრუნოთ, შეუკრათ ერთი ბოლო და გაბეროთ, სანამ გაიბერებოდეს, შეუკრათ მეორე ბოლოც და ესე გაბერილი გაჰკიდოთ თბილ ოთახში გასაშრობად. გაშრობის შემდეგ დვრიტა გახსენით და შეინახეთ დაკიდული. შეინახება თუნდა ორი და მეტი წელიწადი. სადედოდ სჭრიან რამდენიც საჭიროა რძის რაოდენობის მიხედვით, დაალბობენ თბილ წყალში თუ შრატში და ისე მოიხმარებენ. სადედოდ უმჯობესია აიღოთ ხოლმე რამდენიმე დვრიტასი. თუ ერთისა არ გასჭრის, მეორე გასჭრის და [illegible].

ივანე როსტომაშვილი.

*) გურიაში კვეთი ეწოდება.

**ოზურგეთი.** ამ უკანასკნელ ხანებში უნდა ითქვას, რომ ოზურგეთი ძლიერ ჩამორჩა ცხოვრებას. ეს ჩამორჩენა საერთო ცხოვრებაში იმდენად თვალსაჩინოა, რამდენად მას ადგილი აქვს კულტურულ სფეროში.

მართალია ჩვენი პატარა ქალაქი გურიის სატახტო ქალაქად იწოდება, მაგრამ ამ ჟამად მისთვის ამ სახელის წოდებაც კი სასირცხოა. ქალაქი შეიძლება ითქვას აბსოლიუტურად დაცალიერდა ინტელიგენტურ ძალებისაგან, რომელმაც დიდი გავლენა იქონია კულტურულ ცხოვრებაზე.

თეატრი, რომელიც გასულ წელს შინაარსიანი სეზონით იზიდავდა საზოგადოებას, წელს უკანასკნელ ხანამდე სრულიად არ მუშაობდა და ფიზიკურადაც გაპარტახტდა. ხოლო უკანასკნელად ჩვენს სცენას ესტუმრა ახალ გამოჩეკილი „მსახიობები“, რომლებმაც პიესების საშინელი დამახინჯებით სრულიად აუცრუა გული ხალხს.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ჩვენ თეატრს.

ბაზარზე საზღაპრო სიძვირეა, არა თუ გასულ დღეებთან შედარებით, არამედ სხვა ქალაქების ბაზართანაც. ეს რასაკვირველია ჩვენი წვრილფეხა ვაჭრების ტრადიციაა. საქონლის ფასეულობის ნაწილი ხელოვნურად არის შექმნილი, რომელთანაც შეიძლება ბრძოლა.

ქალაქს გარედ კი უარესი ხდება. სოფლებში ჩარჩები ერთი ორად აძვირებენ ყოველ სავაჭროს და ტყავს აძრობენ ისედაც დამშეულ ხალხს.

კულტურულ ცხოვრებაში ხომ სრულიად არაფერი კეთდება სკოლის კარებს გარეშე. იქ სადაც წინად ბიბლიოთეკა-სამკითხველოები იყო, დღეს იქ სახარაზო და სახილე დუქნებია. ხალხისთვის სრულიად ხელმიუწვდომელი რჩება ჟურნალ-გაზეთობა. ამ გვარად მიდის დღენი ჩვენი ცხოვრებისა პროვინციებში.

დ. არობელი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### ახალი აღმოჩენა გეოლოგიაში

გეოლოგიის სახელმძღვანელოებსა და ატლასებში დღემდე განაგრძობენ დედამიწის ბურთის შინაგანი ნაწილის წარმოდგენას, როგორც „სითხისებურ გამდნარ მასსას“. თუ კი დედამიწის შინაგანი ნაწილი სითხეს წარმოადგენს, მაშინ მთვარისა და მზის მიზიდვა ამ სითხისა და მზის მიზიდვა ამ სითხეში ისეთსავე მატება-დაკლებას უნდა იწვევდეს, როგორც მიწის, ზედა ფენებში. ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ასევე ვერ ამჩნევს გემზე მყოფი ზღვის მოქცევას და მიქცევას.

თანამედროვე მეცნიერება ამ საკითხს სწავლობს. ქანქარას (маятник) შემწეობით. სითხის ზედაპირი ყოველთვის რჩება პერპენდიკულიარული სიმძიმისადმი; თუ კი დედა-მიწის შინაგანი ნაწილი მაგარია, მაშინ მთვარისა და მზის მიმზიდველობამ აქ გადახრა უნდა გამოიწვიოს. ეს უკანასკნელი გამონანგარიშებულია ერთ მეასედ წუთში; ეს იმას ნიშნავს, რომ ეიფელის კოშკის სიმაღლის ქანქარამ სულ ერთ მეასედ მილიმეტრზე გადაიხაროს. ცდები ასეთ მინიმალურ ოდნობებით თითქმის შეუძლებელია, მაგრამ საბედნიეროთ გამოიგონეს მეტად მგრძნობიერი აპარატი, რომელშიც ქანქარა ქანაობს თითქმის ჰორიზონტალურ სიბრტყეში, და აქ ეს უხერხულებანი აღარ არსებობს.

დ—რ ჰეკკერმა, პრუსიის გეოდეზიის ინსტიტუტის დირექტორმა, მოახდინა ცდები პოსტდამში 25 მეტრს სიღრმის ჭაში (რათა მინიმუმამდე დაეყვანა მზის სხივების ზედმოქმედება). მიწა რომ სავსებით მაგარი ყოფილიყო, ქანქარას მოძრაობას მთვარის მიმზიდველობის გავლენით უნდა მოეცა წესიერი ელიპსისი; ჰეკკერმა კი მიიღო უსწორო ელიპსისი. ეს იმას ნიშნავს, რომ დედა-მიწა ნაწილობრივ მაგარია, ნაწილობრივ სითხისებური.

კაცობრიობის ერთ-ერთმა უდიდესმა გენიოსმა ლორდ კელვილმა, თავის დროზე სხვა ფენომენების საფუძველზე იმ დასკვნამდი მივიდა, რომ დედა-მიწის შინაგანი ნაწილი უფრო მაგარია, ვიდრე სითხისებურიო. ამ ჟამათ მეცნიერება ამ აზრისაკენ იხრება.

ჰეკკერის ცდები სწარმოებდა 1902—1907 წლ. ცნობილმა ფიზიკოსმა მაიკელსანმა ჩიკაგოში დაადასტურა ის სხვა გზებით. 1916—1917 წლ. მან დააწყო მიწის ქვეშ 6 ფუტის სიღრმეზე ორი მილი 500 ფუტის სიგრძის, რომელნიც ავსილი იყო წყლით და მოწყობილი წყლის დონის ავტომატიური აღნუსხვისათვის. ეს დონე შეიძლება გაზომილი იქნეს მხოლოდ შედარებით გარსშემორტყმული მიწასთან; სხვა სიტყვებით, ადგილი აქვს მის ცვალებადობას მთვარის მიმზიდველობის ზეგავლენით, თუ გარსშემორტყმული მიწა მაგარია და არ ემორჩილება ამ მიმზიდველობას. ეს აღნუსხვა სწარმოებდა მთელი წლის განმავლობაში და სავსებით დაადასტურა ჰეკკერის აღმოჩენები.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია ამით აცხადებს

რომ ა. წ. 10 თებერვლიდან 20 თებერვლამდე

ოქროს მანეთის კურსი რჩება უცვლელად

ქ. ი. ოქროს მანეთი 400.000 მან.

294 სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია.

ტირაჟი 700

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2